საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია

ეთიკის კომისია

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის სახელით

დისციპლინური სახდელის დაკისრების თაობაზე

პირველი დისციპლინური კოლეგიის შემადგენლობა:

კონსტანტინე გელაშვილი - კოლეგიის თავმჯდომარე

ანა ლორია - კოლეგიის წევრი

ანა ხურციძე - კოლეგიის წევრი

საჩივრის ავტორი: თ. ნ.

საჩივრის ავტორის წარმომადგენელი: ადვოკატი დ. ს. /სიითი #/

საჩივრის კომისიაში შემოსვლის თარიღი: 13.03.2019

საჩივრის რეგისტრაციის N034/19

საჩივარი შემოტანილია: ადვოკატ ნ. ძ.-ის მიმართ, /სიითი #/

საჩივრის მოთხოვნა: ადვოკატ ნ. ძ.-ისთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება.

I აღწერილობითი ნაწილი

1. **საჩივრის ავტორის პოზიცია:**

1.1 2019 წლის 13 მარტს საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიას საჩივრით მომართა თ. ნ.-მა და მოითხოვა ადვოკატ ნ. ძ.-ისთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება.

1.2 საჩივრის მიხედვით, 2017 წელს თ. ნ.-მა მისი შვილის ო. ბ.-ს სისხლის სამართლის საქმესთან დაკავშირებით, საადვოკატო მომსახურების მიღების მიზნით, მიმართა ადვოკატ ნ. ძ.-ს. თ. ნ.-მა ადვოკატს გადასცა ო. ბ.-სთვის აღკვეთის ღონისძიების სახით შეფარდებული გირაოს თანხა - 3.000 ლარი და ექსპერტიზისთვის საჭირო თანხა - 500 ლარი. საჩივრის ავტორის განცხადებით, ზემოაღნიშნული თანხები ადვოკატმა არ გამოიყენა დანიშნულების შესაბამისად. ადვოკატი

დაპირდა საჩივრის ავტორს რომ 2018 წლის ნოემბრამდე შეძლებდა მიღებული თანხის დაბრუნებას, რაზედაც შეადგინა ხელწერილი, თუმცა თანხა არ დააბრუნა.

1.3 საჩივრის ავტორმა ადვოკატს აგრეთვე გადასცა საადვოკატო მომსახურების ჰონორარიც, თუმცა აღნიშნული თანხის დაბრუნებას ადვოკატისგან არ ითხოვს.

2. ადვოკატის პოზიცია:

2.1 2019 წლის 21 მარტს ადვოკატმა ნ. ძ.-მა წარმოადგინა წერილობითი ახსნა-განმარტება, რომლის მიხედვითაც, ის ადასტურებს რომ ახორციელებდა საჩივრის ავტორის შვილის - ო. ბ.-ს სისხლის სამართლის საქმეზე საადვოკატო მომსახურებას. ადვოკატი ო. ბ.-ს შეუთანხმდა დაცვის პოზიციის და სამოქმედო გეგმის თაობაზე. საადვოკატო მომსახურების განხორციელება დაკავშირებული იყო გარკვეულ სირთულეებთან ო. ბ.-ს ავადმყოფობის გამო. რამდენჯერმე გადაიდო სასამართლო სხდომები ო. ბ.-ს სამკურნალო დაწესებულებაში ყოფნის მიზეზით. საქმისწარმოების პროცესი ასევე გაართულა იმ გარემოებამ, რომ გირაოს პირობებში ყოფნის დროს ო. ბ.-მ ჩაიდინა მეორე იდენტური დანაშაული, რისთვისაც მის მიმართ დადგა გამამტყუნებელი განაჩენი.

2.2 ო. ბ.-ს დედა - თ. ნ. მოითხოვდა საქმესთან დაკავშირებით, საპროცესო შეთანხმების გაფორმებას, რის თაობაზეც ადვოკატმა ნ. ძ.-მა პროკურატურაში წარადგინა შუამდგომლობა, რაც არ დაკმაყოფილდა და აღნიშნულის თაობაზე ადვოკატმა აცნობა ო. ბ.-ს.

2.3 ადვოკატი ხშირად მიდიოდა ო. ბ.-ს მოსანახულებლად, როგორც ქუთაისის ციხეში, აგრეთვე, თბილისის სამკურნალო დაწესებულებაში. ადვოკატი ოჯახისგან მიღებული თანხით მსჯავრდებულისთვის ყიდულობდა ტანსაცმელს და საკვებს.

2.4 ადვოკატის განცხადებით, ის ადასტურებს, რომ მან ბოლომდე ვერ შეძლო საადვოკატო მომსახურების დასრულება ო. ბ.-ს საქმესთან დაკავშირებით, რადგან აღმოაჩნდა მძიმე დაავადება, რის გამოც გადაადგილებასაც ვერ ახერხებდა. აღნიშნულის თაობაზე ინფორმირებული იყო ო. ბ. და მისი ოჯახის წევრები.

2.5 ადვოკატის განმარტებით, ვინაიდან, ის ვეღარ ახერხებდა სრულყოფილად საადვოკატო მომსახურების განხორციელებას, თ. ნ.-მა მასთან ურთიერთობის შეწყვეტამდე მიმართა სხვა ადვოკატს.

2.6 ადვოკატის განმარტებით, მან ეთიკის კომისიაში საქმისწარმოების განხილვისას შეიტყო, რომ ო. ბ. გარდაიცვალა. საჩივრის ავტორის მიერ მითითებული თანხების დაბრუნების თაობაზე ადვოკატი განმარტავს, რომ ის დაპირდა თ. ნ.-ს მიღებული თანხის დაბრუნებას, რაც წარმოადგენს საადვოკატო მომსახურების ჰონორარს, რის თაობაზეც წერილობითაც შეთანხმდნენ, თუმცა მისი მძიმე მდგომარეობიდან გამომდინარე და არსებული ფინანსური პრობლემების გამო, ის ვერ ახერხებდა საჩივრის ავტორისთვის თანხის ამ ეტაპზე დაბრუნებას.

3. დისციპლინური დევნის აღმძვრელი საპროცესო კოლეგიის პოზიცია:

3.1 2019 წლის 12 მარტს, მეორე დისციპლინურმა კოლეგიამ მიიღო გადაწყვეტილება ადვოკატ ნ. ძ.-ის მიმართ დისციპლინური დევნის აღძვრის თაობაზე ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის (შემდეგში „ეთიკის კოდექსი“) 8.12, 8.13 და 8.15 მუხლებით გათვალისწინებული ვალდებულებათა შესაძლო დარღვევის საფუძვლით.

3.2 2020 წლის 18 თებერვალს, აგრეთვე, ამავე წლის 21 ოქტომბერს გამართულ განხილვის კოლეგიის სხდომებზე ადვოკატმა ნ. ძ.-მა განმარტა, რომ ის დაუბრუნებდა მიღებულ თანხას საჩივრის ავტორს, რისთვისაც კოლეგიის წინაშე შუამდგომლობდა საქმისწარმოების შეჩერების თაობაზე. 2020 წლის 02 ნოემბერს დისტანციურ ფორმატში გამართულ განხილვის კოლეგიის სხდომაზე საჩივრის ავტორის წარმომადგენელმა განმარტა, რომ თ. ნ. არ იყო წინააღმდეგი დამატებით გაგრძელებულიყო საქმისწარმოების შეჩერების ვადა, იმისათვის, რომ ადვოკატს შეძლებოდა მისთვის დაებრუნებინა მიღებული თანხები და მორიგებულიყვნენ.

II სამოტივაციო ნაწილი

4. საქმის ფაქტები:

4.1 განხილვის კოლეგიის მიერ დადგენილია შემდეგი უდავო ფაქტები:

საჩივრის ავტორისა და მოპასუხე ადვოკატის პოზიციებიდან, ასევე საქმეში არსებული მასალებიდან გამომდინარე, განხილვის კოლეგიამ დაადგინა შემდეგი ფაქტები:

4.1.1 2017 წელს ო. ბ.-სთვის სისხლის სამართლის საქმეზე საადვოკატო მომსახურების გაწევის მიზნით, საჩივრის ავტორმა (ო. ბ.-ს დედამ) მიმართა ადვოკატ ნ. ძ.-ს.

განხილვის კოლეგია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებას:

მხარეთა ახსნა-განმარტება.

4.1.2 საჩივრის ავტორმა ადვოკატ ნ. ძ.-ს პირველ ეტაპზე ხელზე გადასცა 3 000 ლარი და დამატებით 500 ლარი.

განხილვის კოლეგია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებას:

მხარეთა ახსნა-განმარტება;

ადვოკატის ხელწერილი.

4.2 სადავო ფაქტები:

4.2.1 მხარეებს განსხვავებული პოზიციები აქვთ თანხის განკარგვის მიზნობრიობასთან დაკავშირებით. საჩივრის ავტორის განმარტების მიხედვით, ადვოკატს 3 000 ლარი იმ მიზნისთვის გადაეცა, რომ ო. ბ.-სთვის აღკვეთის ღონისძიების სახით შეფარდებული გირაოს თანხა დაეფარა, 500 ლარი ექსპერტიზის დანიშვნისთვის იყო საჭირო. ადვოკატი ნ. ძ. უთითებს, რომ თანხები, რომლებიც მან მიიღო საჩივრის ავტორისგან - საადვოკატო მომსახურების ჰონორარს წარმოადგენდა.

4.2.2 მოცემულ შემთხვევაში, ადვოკატის მიერ საჩივრის ავტორისგან მიღებული თანხა - 3.500 ლარი წარმოადგენს კლიენტთან ურთიერთობაში მყოფი უფლებამოსილი პირის მიერ ადვოკატისთვის მინდობილ თანხას კონკრეტული სისხლის სამართლის საქმის წარმოებისათვის. ჰონორარის განსაზღვრისა და გაანგარიშების წესის, ისევე როგორც, მოსალოდნელი ხარჯების შესახებ კლიენტის ინფორმირება, ადვოკატის მოვალეობას წარმოადგენს (ეთიკის კოდექსი, მუხლი 8.6, 8.8).

4.2.3 კომისიის შეფასებით, იქამდე, სანამ ადვოკატი შეასრულებს ხელშეკრულებით გათვალისიწინებულ მომსახურებას და გამოიმუშავებს შეთანხმებულ საზღაურს, ჰონორარის სახით ადვოკატისათვის გადაცემული თანხა კლიენტის საკუთრებას წარმოადგენს და მასზეც ვრცელდება ის ფიდუციური ვალდებულებები, რომელსაც პროფესიული სტანდარტები აწესებს მინდობილი თანხების მიმართ.

4.2.4 ადვოკატს კოლეგიისთვის არ წარმოუდგენია მტკიცებულება, რითიც დადასტურდებოდა, რომ მიღებული თანხები ჰონორარს წარმოადგენდა. საქმეში წარმოდგენილია საჩივრის ავტორსა და ადვოკატს შორის გაფორმებული წერილობითი შეთანხმება, რომლის ნამდვილობასაც მხარეები სადავოდ არ ხდიან, რის საფუძველზეც, ადვოკატმა დადო პირობა, რომ თ. ნ.-ს დაუბრუნებდა ო. ბ.-ს საქმეზე „გადახდილ თანხას 3 500 ლარს 2019 წლის 27 ნოემბერს“ (ხელწერილი - ს.ფ.---). თუმცა, აღნიშნული ხელწერილის მიუხედავად, ადვოკატმა, როგორც ის თავად უთითებს, ვერ შეძლო ამ თანხის დაბრუნება (იხ. ადვოკატის ახსნა-განმარტება, პუნქტი 2.4). შესაბამისად, ეთიკის კომისიისათვის გაურკვეველია რას წარმოადგენდა კლიენტის საქმეზე ადვოკატის მიერ აღებული თანხა 3.500 ლარის ოდენობით, რადგან ადვოკატმა ვერ დაადასტურა ჰონორარის ოდენობისა და გაანგარიშების წესის შესახებ კლიენტის ინფორმირება (ეთიკის კოდექსი, მუხლი 8.8). თუმცა, სადავო არ არის ფაქტი, რომ ადვოკატმა, ვერ განახორციელა ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურება, ვერ გამოიმუშავა ჰონორარი, რაც, ამ შემთხვევაში, იურიდიულად ანალოგიურ შედეგს იწვევს, რადგან გამოუმუშავებელი ჰონორარი არის მინდობილი თანხების ნაწილი, რომელზეც საკუთრების უფლებას კლიენტი ინარჩუნებს. შესაბამისად, ადვოკატ ნ. ძ.-ს, ურთიერთობის შეწყვეტისას წარმოეშვა ვალდებულება დაუბრუნოს კლიენტს გამოუმუშავებელი ჰონორარი და სხვა თანხა, რომელიც კლიენტის - ო. ბ.-ს საქმეზე მიიღო მან, წარმომადგენლობის პროცესში.

5. შემაჯამებელი დასკვნა

საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის განხილვის კოლეგია გაეცნო საქმის მასალებს, მოისმინა მხარეთა ახსნა-განმარტებები და დაადგინა, რომ ადვოკატ ნ. ძ.-ის მიერ ჩადენილია დისციპლინური გადაცდომა.

6. სამართლებრივი შეფასება:

6.1 განხილვის კოლეგიამ დაადგინა, რომ ადვოკატ ნ. ძ.-ის მიერ დარღვეულია კლიენტის საქმესთან დაკავშირებით მიღებული ფულადი სახსრების კეთილსინდისიერად მართვის, ფულადი სახსრებისა და გამოუმუშავებელი ჰონორარის კლიენტისათვის დაბრუნებისა და ხართაღრიცხვის წარმოების ეთიკური ვალდებულებები.

> ჰონორარის ოდენობა და მისი გაანგარიშების წესი წინასწარ უნდა იყოს ცნობილი და მისაღები კლიენტისათვის (ეთიკის კოდექსი, მუხლი 8.8).
>
> ადვოკატმა უნდა აწარმოოს სრული და ზუსტი ჩანაწერი კლიენტის მიერ გადახდილ საქმის წარმოების ხარჯებთან დაკავშირებით (ეთიკის კოდექსი, მუხლი 8.12).
>
> ნებისმიერი ფულადი სახსრები ან ქონება, რომელსაც კლიენტი მიანდობს ადვოკატს უნდა ინახებოდეს დამოუკიდებლად ადვოკატის პირადი ფულადი სახსრების ან ქონებისაგან და იმართებოდეს კეთილსინდისიერად... (ეთიკის კოდექსი, მუხლი 8.13).

კლიენტის ინტერესების დაცვის შეწყვეტისას ადვოკატმა კლიენტს უნდა დაუბრუნოს ფულადი სახსრები ... რომელიც კლიენტმა ადვოკატს გადასცა ან მიანდო წარმომადგენლობითი უფლებამოსილების განხორციელებისას. კლიენტისათვის გადასაცემი თანხიდან ადვოკატს უფლება აქვს გამოქვითოს ურთიერთობის შეწყვეტამდე განხორციელებული მომსახურებისათვის მისაღები გასამრჯელო და გაწეული ხარჯი (ეთიკის კოდექსი, მუხლი 8.15).

6.2. პროფესიული სტანდარტების შესაბამისად, ადვოკატმა კლიენტს წინასწარ უნდა განუმარტოს ჰონორარის ოდენობა, მომსახურების ფარგლები და ჰონორარის გაანგარიშების წესი, რათა, ურთიერთობის შეწყვეტის შემთხვევაში, მხარეთა შორის სადავო არ გახდეს განსაზღვეული ჰონორარის რა ნაწილი გამოიმუშავა ადვოკატმა და რა ოდენობის თანხის დაბრუნება მოეთხოვება მას კლიენტისათვის.

6.3. „ადვოკატის ფიდუციური ვალდებულებებიდან ერთ-ერთ მნიშვნელოვან ვალდებულებას წარმოადგენს მინდობილი თანხების შესახებ ხარჯთაღრიცხვის წარმოება და კლიენტისათვის წარდგენა. ეს ნორმა აწესებს ადვოკატის ვალდებულებას აწარმოოს ხარჯთაღრიცხვა მიუხედავად იმისა, კლიენტი ითხოვს თუ არა ამას“ (საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის 10.01.2019 წლის გადაწყვეტილება, საქმე N011/18, 8.18).

6.4. კლიენტის ფულადი სახსრების დამოუკიდებელ ანგარიშზე განთავსების შესახებ ნორმის მიზანია ის, რომ „ადვოკატის შესაძლო ფულადი ვალდებულები არ გავრცელდეს კლიენტის თანხებზე (მინდობილ ხარჯებზე), რადგან ეს არ არის ადვოკატის აქტივი. ეთიკის კომისია განმარტავს, რომ მინდობილი თანხები წარმოადგენს კლიენტის საკუთრებას და მხოლოდ საქმიდან გამომდინარე შეიძლება მისი განკარგვა, რასაც აუცილებლად თან უნდა სდევდეს სათანადო მტკიცებულებებით გამყარებული ხარჯთაღრიცხვა (საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის 31.05.2018 წლის გადაწყვეტილება, დისციპლინური საქმე N098/17, 8.4).

6.5. „იმისათვის, რათა დაცული იყოს კლიენტის ქონება და მასზე არ გავრცელდეს ადვოკატის პირადი ფინანსური ვალდებულებები, ადვოკატმა მინდობილი თანხები უნდა განათავსოს არა პირად, არამედ დამოუკიდებელ/ნეიტრალურ ანგარიშზე“ (საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის 10.01.2019 წლის გადაწყვეტილება, საქმე N011/18, 8.22).

6.6. „ადვოკატმა არ უნდა დაუშვას იმ ფულადი სახსრების დაყოვნება, რაიმე სახით საკუთარ ანგარიშზე თუ პირად სალაროში შენახვა, რომელიც არ წარმოადგენს ადვოკატის ქონებას. კლიენტის მიერ ფულადი თანხის მინდობა ადვოკატისთვის, ამ უკანასკნელისთვის წარმოშობს ვალდებულებას მინდობილი თანხა კლიენტის მითითებისამებრ, კონკრეტული დანიშნულებით გამოიყენოს. იმ შემთხვევაში, თუ კლიენტის მიერ მინდობილი თანხის გამოყენება აღარ არის საჭირო, მნიშვნელობა არ აქვს სუბიექტური თუ ობიექტური საფუძვლის გამო, ადვოკატს პროფესიული ეთიკური ვალდებულებებიდან გამომდინარე, კეთილსინდისიერი წარმომადგენლობის ფარგლებში, ეკისრება პასუხისმგებლობა შეძლებისდაგვარად უმოკლეს დროში აცნობოს კლიენტს თანხის დაბრუნების შესახებ და პირველივე შესაძლებლობისთანავე ყოველგვარი დაყოვნებისა და კლიენტთან შეთანხმების გარეშე, მინდობილი ქონების სხვა ქმედების გასახორციელებლად გადამისამართების არიდებით, უკლებლივ დაუბრუნოს კლიენტს ამ უკანასკნელის კუთვნილი თანხა, თუ სხვა ქონება“ (საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის 02.07.2012 წლის გადაწყვეტილება, დისციპლინური საქმე #003/12).

6.7. ეთიკის კომისიამ შეაფასა საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებები და დაადგინა, რომ ადვოკატმა საჩივრის ავტორის შვილის საქმეზე აიღო თანხა 3.500 ლარი, რომელიც კლიენტის საქმისათვის არ გამოუყენებია. მიუხედავად იმისა, ეს თანხა წარმოადგენდა საქმის წარმოებისათვის აუცილებელ თანხებს (მინდობილ თანხებს), თუ ადვოკატისათვის გადაცემულ ჰონორარს, მხარეთა შორის სადავო არ არის გარემოება, რომ ადვოკატ ნ. ძ.-მა ეს თანხა ადვოკატმა არა კლიენტის საქმისთვის, მისი ინტერესების შესაბამისად განკარგა, არამედ პირადი მიზნებისათვის გამოიყენა. იმ შემთხვევაშიც, თუ გავიზიარებდით ადვოკატის მოსაზრებას, რომ ეს თანხა იყო ადვოკატის ჰონორარი, ურთიერთობის შეწყვეტისას, მას მაინც წარმოეშვა ამ თანხის კლიენტისათვის დაბრუნების ვალდებულება, რადგან, თავად ადვოკატის განმარტებით, ჯანმრთელობის მდგომარეობიდან გამომდინარე, მან ვერ განახორციელა კლიენტის წარმომადგენლობა საადვოკატო მომსახურების თაობაზე, მხარეთა შორის არსებული შეთანხმებით გათვალისწინებულ ფარგლებში.

6.8. ეთიკის კომისია ვერ ჩათვლის პასუხისმგებლობის გამომრიცხველ გარემოებად ადვოკატის პოზიციას იმის თაობაზე, რომ მას ჰქონდა ფინანსური პრობლემები და დროულად ვერ მოახერხა კლიენტისგან მიღებული თანხების დაბრუნება, კოლეგია განმარტავს, რომ კლიენტის მიერ ადვოკატისათვის საქმესთან დაკავშირებით ფულადი სახსრების გადაცემით გამოხატავს ნდობას. შესაბამისად, ადვოკატის ეთიკური ვალდებულებაა მიზნობრივად და კეთილსინდისიერად მოხდეს თანხის გამოყენება. ამ პროცესში, ადვოკატმა უნდა აწარმოოს ხარჯთაღრიცხვა და დარჩენილი თანხა დაუბრუნოს კლიენტს. კლიენტის ფულადი სახსრების კეთილსინდისიერად მართვის ვალდებულების მიზანს სწორედ კლიენტის ფულადი სახსრების/ქონების დაცვა წარმოადგენს, რომლის გარანტი არის ამ თანხის/ქონების ადვოკატის ანგარიშებისა და ფულადი სახსრებისაგან დამოუკიდებლად შენახვა, რათა ადვოკატის ფინანსური ვალდებულებები არ გავრცელდეს კლიენტის ქონებაზე. შესაბამისად, ადვოკატმა დამოუკიდებლად უნდა განათავსოს მინდობილი თანხა/ქონება და არ უნდა გამოიყენოს ის პირადი მიზნებისთვის; ხოლო, ურთიერთობის დასრულების შემთხვევაში, ადვოკატმა უმოკლეს ვადებში უნდა დაუბრუნოს კლიენტს ის ნაწილი, რაც არ დასჭირდა კლიენტის საქმის წარმოებას. ეთიკის კომისია აქვე განმარტავს, რომ კეთილსინდისიერების სტანდარტი ავალდებულებს ადვოკატს აწარმოოს ხარჯთაღრიცხვა კლიენტის ფულადი სახსრების მართვისას, რათა კლიენტს არ გაუჩნდეს ეჭვი იმისა, რომ მისი თანხები არამიზნობრივად იხარჯება.

6.9. კომისიის შეფასებით, საჩივრის ავტორის მიერ გადაცემული ფულადი სახსრები ადვოკატმა არ გამოიყენა მიზნობრივად - კლიენტის საქმისათვის, მისივე ინტერესების შესაბამისად. ადვოკატმა არ აწარმოა ხარჯთაღრიცხვა კლიენტის ფულადი სახსრების მართვის დროს. ასევე, ადვოკატმა კეთილსინდისიერად არ მართა ეს თანხები და კლიენტის მოთხოვნის მიუხედავად, არ დაუბრუნა მას მინდობილი თანხები.

6.10. შესაბამისად, ეთიკის კომისია განმარტავს, რომ ადვოკატ ნ. ძ.-ის მიერ დარღვეულია მინდობილი თანხების დამოუკიდებლად შენახვისა და კლიენტისათვის დაბრუნების ვალდებულება (ეთიკის კოდექსი, მუხლები 8.8, 8.12, 8.13, 8.15).

6.11. ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონის 34-ე მუხლი განსაზღვრავს დისციპლინური სახდელის სახეებსა და ზემოქმედების ღონისძიების ფორმებს, რომელიც შესაძლოა ადვოკატს დაეკისროს დისციპლინური გადაცდომის ჩადენის შემთხვევაში. ეს სახდელებია გაფრთხილება, საადვოკატო

საქმიანობის უფლების შეჩერება და საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წევრობის შეწყვეტა, ხოლო ზემოქმედების ღონისძიებას წარმოადგენს კერძო სარეკომენდაციო ბარათით მიმართვა.

6.12. საქართველოს უზენაესმა სასამართლომ იმსჯელა ადვოკატის მიერ ჩადენილ დისციპლინურ გადაცდომასთან შეფარდებული სახდელის პროპორციულობის თაობაზე მის ერთ-ერთ გადაწყვეტილებაში და განმარტა, რომ „სახდელის დანიშვნის დროს ეთიკის კომისიის მიერ მხედველობაში მიიღება ის ზოგადი წესები, რომლებიც განაპირობებს სამართლიანი სახდელის დაკისრებას, პირის დასჯას მის მიერ ჩადენილი ქმედების თანაზომიერად. აღნიშნულის მიღწევა შესაძლებელია ჩადენილი გადაცდომის ხასიათის, დამრღვევის პიროვნების, გადაცდომის სიმძიმის, შემამსუბუქებელი და დამამძიმებელი გარემოებების მხედველობაში მიღებით, რაც სახდელის ინდივიდუალიზაციის პრინციპის გატარების აუცილებელი პირობათაგანია“ (საქართველოს უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატის 22.05.2017 წლის გადაწყვეტილება, დისციპლინური საქმე #დს-შ/3-17).

6.13. ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ დებულების 2.5 მუხლი პირდაპირ უთითებს, რომ ადვოკატისთვის დისციპლინური სახდელის დაკისრებისას გათვალისწინებული უნდა იქნას დისციპლინური გადაცდომის სიმძიმე და მიყენებული ზიანი. „მოცემულ შემთხვევაში, ეთიკის კოდექსის მიზნებიდან გამომიდინარე, საუბარია ადვოკატის პროფესიისათვის მიყენებული ზიანის განსაზღვრაზე. თუმცა ეს არ გამორიცხავს კლიენტისათვის მიყენებული ზიანის გათვალისწინების შესაძლებლობასაც“ (საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის 31.05.2018 წლის გადაწყვეტილება, დისციპლინური საქმე N098/17).

6.14. „ადვოკატის მიერ ჩადენილ დისციპლინურ გადაცდომასთან შეფარდებული სახდელის პროპორციულობის განხილვისას ეთიკის კომისიამ უნდა გაითვალისწინოს ადვოკატის მიერ ჩადენილი გადაცდომის სახე, სიმძიმე, პროფესიისათვის მიყენებული ზიანი, კლიენტისათვის მიყენებული ზიანი, ადვოკატის პიროვნება, მისი რეპუტაცია, ადვოკატის მიერ ადრე ჩადენილი გადაცდომები, რომლებიც არ არის გაქარწყლებული, ადვოკატის დამოკიდებულება ჩადენილი ქმედების მიმართ, არაეთიკური ქცევის თაობაზე ადვოკატის ადეკვატური აღქმა და სხვა გარემოებები, რომელიც მნიშვნელოვანია ეთიკის კოდექსის ძირითადი მიზნის მისაღწევად“ (საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის 31.05.2018 წლის გადაწყვეტილება, დისციპლინური საქმე N098/17).

6.15. „ადვოკატის დისციპლინირების მიზანი არის არა მისი დასჯა, არამედ ადვოკატის მიერ დისციპლინური გადაცდომის პრევენცია, საზოგადოების დაცვა ადვოკატის არაეთიკური ქცევისაგან და პროფესიული ღირებულებების დაცვა, რაც საბოლოო ჯამში ემსახურება საზოგადოებაში ადვოკატის პროფესიისადმი მაღალი ნდობის დამკვიდრებას“ (საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის 31.05.2018 წლის გადაწყვეტილება, დისციპლინური საქმე N098/17).

6.16. ეთიკის კომისია ითვალისწინებს იმ გარემოებას, რომ ადვოკატმა გააცნობიერა ჩადენილი ქმედების არაეთიკური ხასიათი და გამოხატა მზაობა საჩივრის ავტორს მორიგებოდა და დაებრუნებინა მიღებული ფულადი თანხა საჩივრის ავტორისთვის. თუმცა მიუხედავად გამოხატული მზაობისა და კომისიის მიერ საქმისწარმოების პროცესში, რამდენჯერმე მიცემული შესაძლებლობისა ადვოკატს განეხორციელებინა თავისი ვალდებულება, ვერ შესრულდა, ნაწილობრივადაც კი, გონივრული ვადის გასვლის შემდეგაც.

6.17. შედეგად, ადვოკატის ქმედებით ადვოკატის პროფესიას მიადგა ზიანი. შესაბამისად, ადვოკატისათვის დისციპლინური ზემოქმედების ღონისძიებით - კერძო სარეკომენდაციო ბარათით მიმართვა ქმედითი ვერ იქნება. თუმცა, ამავდროულად, ეთიკის კომისია განმარტავს, რომ ადვოკატ ნ. ძ.-ისთვის მოცემული დისციპლინური საქმიდან გამომდინარე, საადვოკატო საქმიანობის უფლების შეჩერება ან საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წევრობის შეწყვეტა ზედმეტად მკაცრი და არაპროპორციული სახდელი შეიძლება იყოს მის მიერ ჩადენილ გადაცდომასთან. ეთიკის კომისია, სახდელის შეფარდებისას ასევე ითვალისწინებს გარემოებას, რომ ადვოკატ ნ. ძ.-ს გადაწყვეტილების გამოტანის მომენტისათვის არ აქვს შეფარდებული სხვა დისციპლინური სახდელი.

6.18. დისციპლინური პასუხისმგებლობის ფორმის განსაზღვრისას, ეთიკის კომისიამ ასევე გაითვალისწინა დაკისრებული პასუხისმგებლობა მსგავს დარღვევებზე. 2019 წლის 10 იანვრის საქმე 011/18 გადაწყვეტილებაში, აპეკ-ის 8.15-თან ერთად დადგინდა აპეკ-ის 8.13 მუხლით გათვალისწინებული ეთიკური ვალდებულებების დარღვევა, რის მიხედვითაც მოცემულ საქმეზე განისაზღვრა დისციპლინური სახდელი - გაფრთხილება. 2018 წლის წლის საქმე 098/17 გადაწყვეტილებაში, აპეკ-ის 8.15 თან ერთად მსგავსად მოცემული საქმისა დადგინდა კლიენტის ინფორმირების ვალდებულების დარღვევაც და განისაზღვრა დისციპლინური სახდელი - გაფრთხილება. 2019 წლის 20 სექტემბერის გადაწყვეტილებით საქმეზე 070/18 კომისიამ დაადგინა აპეკ-ის 8.15 მუხლის დარღვევა, მიუხედავად ადვოკატის მიერ კლიენტისგან მიღებული თანხის ნაწილის დაბრუნებისა, რადგან ადვოკატმა აღნიშნული ვალდებულება წელიწადნახევრის შემდგომ შეასრულა, რაც კომისიამ არაჯეროვან შესრულებად ჩათვალა, თუმცა დისციპლინური სახდელის განსაზღვრისას გაითვალისწინა ვალდებულების ნაწილობრივ შესრულება და დისციპლინური პასუხისმგებლობის უფრო მსუბუქი ფორმა განისაზღვრა - კერძო სარეკომენდაციო ბარათით მიმართვა. 2016 წლის 16 სექტემბრის №038/16 გადაწყვეტილებაში დადგინდა მხოლოდ აპეკ-ის 8.15 მუხლის დარღვევა მაგრამ ადვოკატს არ გამოუხატავს ნება დაებრუნებინა კლიენტისგან მიღებული თანხის ნაწილი კლიენტისთვის და დამდგარი ზიანის გათვალისწინებით დისციპლინური პასუხისმგებლობის ფორმად განისაზღვრა - გაფრთხილება.

6.19. შედეგად, ეთიკის კომისიამ იხელმძღვანელა პასუხისმგებლობის სამართლიანობისა და კანონიერების პრინციპით, მხედველობაში მიიღო ეთიკის კომისიის პრაქტიკა, საქართველოს უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატის განმარტებები პასუხისმგებლობის პროპორციულობასთან დაკავშირებით მნიშვნელოვანი სხვა ფარემოებები, და გადაწყვიტა, რომ ადვოკატ ნ. ძ.-ს ჩადენილი დისციპლინური გადაცდომებისათვის უნდა განესაზღვროს დისციპლინური სახდელი, როგორც დისციპლინური პასუხისმგებლობის ერთ-ერთი ფორმა.

III სარეზოლუციო ნაწილი

განხილვის კოლეგიამ იხელმძღვანელა ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონის 2, 32.1, 34.1(ა), 35, 35[1], 36 მუხლებით, ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის 8.8, ი8.12, 8.13 და 8.15 მუხლებით, ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობის და დისციპლინური წარმოების შესახებ დებულების 4.6, 19, 20, 33.11, 35, 40.2 მუხლებით და გადაწყვიტა:

1. დისციპლინურ საქმეზე N034/19 დადგინდეს ადვოკატ ნ. ძ.-ის /სიითი №/ მხრიდან დისციპლინური გადაცდომის ჩადენა.
2. ადვოკატ ნ. ძ.-ს დისციპლინური პასუხისმგებლობის ფორმად განესაზღვროს გაფრთხილება.
3. ეთიკის კომისიის გადაწყვეტილების ასლი ჩაბარდეთ მხარეებს.
4. ეთიკის კომისიის გადაწყვეტილება ადვოკატის მიერ შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს უზენაეს სასამართლოში, დასაბუთებული გადაწყვეტილების ასლის ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში, საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიაში საჩივრის წარდგენის გზით.

კოლეგიის თავმჯდომარე: /კონსტანტინე გელაშვილი/

კოლეგიის წევრი: /ანა ლორია/

კოლეგიის წევრი: /ანა ხურციძე/